# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №06

ქ. რუსთავი 24 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მერეს მხრივ ი. მ. ,,ლია ქვრივიშვილი“-ს სახით (შემდგომში მიმწოდებელი) , საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1.შესყიდვის ობიექტი

1.1 ერთი ცალი დინამიკის II-220 BT შეძენა CPV-32300000

## 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 490.0 (ოთხასოთხმოცდათი) ლარი დღგ -ს ჩათვლით

## 3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების, ანგარიშფაქტურის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის საფუძველზე;
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში;
3.4. დაფინანსების წყარო: 2019 წლის საკუთარი სახსრები.

## 4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
**4.2.** შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გაერთიანების საორგანიზაციო განყოფილების უფროსი და №8 ფილიალის გამგე

## 5.საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში ;
**5.2.** საქონლის მიწოდების ადგილი : გაერთიანების №8 ფილიალი მის.ქ.რუსთავი რუსთაველის გას22[ა]

## 6.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს გაერთიანების საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
6.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:

6.3. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის
დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება
6.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,
6.5. ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით,
დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი

ხარჯებით.

## 7.მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება;
7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
7.5. საგარანტიო ვადა საქონლის მიღებიდან ერთი წელი

## 8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით, ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;
9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან);

12.2 ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 24 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“<br>მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20<br>ს/კ 216439325<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ბანკის კოდი:TRESGE22<br>ა/ა GE24NB0330100200165022 | ი.მ ლია ქვრივიშვილი<br>მის: ქ. თბილისი<br>ს/კ: 01020013894<br>სს ,,თი ბი სი ბანკი“<br>ბანკის კოდTBGBGE22<br>ა/აGE38TB7258636010100010 |
| გაერთიანების დირექტორი<br>ეკატერინა ხუციშვილი | ინდ.მეწარმე<br>ლია ქვრივიშვილი |

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY

Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2019.01.24 12:44:30 +04'00'